შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2021 წლის წლიური ანგარიში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) 2021 წლის სამუშაოს განხორციელებაში გაანალიზდა კოლეჯის დოკუმენტაცია, რამოდენიმე მათგანში შევიდა ცვლილება, ასვე დამტკიცდა ახალი დოკუმენტაცია. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში ზოგიერთი ღონისძიება, სამუშაოთა განხორციელება მიმდინარეობდა/სრულდებოდა ონლაინ მუშაობის ფორმატში.

კოლეჯის საქმიანობიდან რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. კოლეჯის პროგრამები:

კოლეჯში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო) და ვეტერინარია. კოლეჯში პროგრამების თვალსაზრისით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და კოლეჯის მიერ მოხდა დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) შემუშავება და საავტორიზაციოდ წარდგენა.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მიზნით მოხდა ავტორიზაციის ექსპერტებთან შეხვედრა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოვების მიზნით. ასევე მოხდა პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები (შპს კოცო, შპს გორვეტჯეო, ფერმერი მამია ბუგულიშვილი, შპს ნუტრიმაქსი). განხორციელდა მოდულის ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია. განხორციელდა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების გადამზადება კომპიუტერულ პროგრამებში. 2021 წლის განმავლობაში ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ზაქარია გინტურმა მიიღო მონაწილება და დაესწრო ტერენინგებს (ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური განწყობის სტრუქტურა და შეცვლა, ეფექტური სწავლების მეთოდები, რეკომენდაციები და განმარტებები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით).

ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე აღსანიშნავია, რომ სწავლების არსებული რეჟიმიდან გამომდინარე პერიოდულად საჭირო გახდა დაგეგმილი სასწავლო პროცესის გადახედვა. ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ცვლილებებით. მთელი წლის განმავლობაში, პროგრამის განხორციელების კუთხით პრაქტიკული სამოშაოების განხორციელება მოდულების მიხედვით გადანაწილდა 110 და 111 C გარემოში. მატერიალური რესურსის მონიტორგის სწორად განხორციელებისათვის მოხდა ინვენტარიზაცია სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად, აღრიცხული არის არსებული რესურსი. მოდულის განმავლობაში დახარჯული მასალა ნედლეული, მოდულების დამთავრების შემდეგ აისახა ანგარიშის ფორმაში და შეფასების ინსტრუმენტებთან ერთად ჩაბარდა სასწავლო პროცესის მენეჯერს. საჭიროების დროს ხდებოდა პერიოდული შევსება გახარჯული მასალა-ნედლეულის. საჭირო გახდა

აღჭურვილობის და მასალა-ნედლეულის შესაძენად მოთხოვნის წარდგენა. მაისის თვეში, საგანმანათებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) განხორციელდა მოდულ სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1 -ს ვერიფიკაცია. 25 დეკემერს კი - მოდულ მიკრობიოლოგი-ს ვერიფიკაცია. ოქტომბრის თვიდან პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოება მოხდა. გორის სააფთიაქო ქსელთან ერთად პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან, (სურვილისამებრ) სხვა ქალაქების შესაბამის ქსელურ აფთიაქებში. ხელშეკრულება გაფორმდა ავერსი-ფარმას სააფთიაქო ქსელთან.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე აღსანიშნავია, რომ პროგრამების ხელმძღვანელი და პროფესიულ განათლების მასწავლებლები ჩართული იყვნენ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან ერთად დარგობრივი მოდულების გადამუშავებაზე და მოდულების იმ კომპონენტებზე, რომელთა სწავლება შესაძლებელია ონლაინ/დისტანციურ ფორმატში. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შინაარსობრივი ცვლილება შევიდა "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტში, რომლის მიხედვით მოხდა ცვლილებებით პროგრამის დამტკიცება. პრფესიული მასწავლებლები ჩართული იყვნენ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი / მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში „როგორ და ვგეგმოთ და განვახორციელოთ სასწავლო პროცესი ზრდასრულთათვის“ სადაც გაეცნენ სიახლეებს და მიდგომებს ზრდასრულთა სასწავლო პროცესთან წარმატებით ინტეგრირებაში. სისტემატიურად მიმდინარეობს სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა --ხელლშეწყობა, რამაც უზრუნველყო პრფესიულ სტუდენთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კოლეჯის C გარემოში განხორციელდა მატერიალური რესურსის მონიტორინგი. კოლეჯში ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მედიკოსთა კლუბის შეხვედრა სადაც კლუბის წევრები გაეცნენ საექთნო საქმის განვითარების ისტორიას. განხორციელდა პროფეესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების მოდული ანათტომია - ფიზიოლოგია და მოდული პათოლოგია (ანატომია-ფიზიოლოგია) ვერიფიკაცია.

2. ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯის ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობს სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად შეფასება/გადახედვა გაუმჯობესება/დაგეგმვა/განხორციელების უწყვეტი ციკლით და ვზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე. ხარისხის მენეჯერის ზედამხედველობით განხორციელებული ღონისძიებებია:

ახალი COVID 19 ის პანდემიის გამოწვევებს 2021 წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სათანადოდ გაერთვა თავი. შემუშავებული ონლაინ სასწავლო მიდგომებმა ხელი შეუწყო მოქნილად განხორციელებულიყო სასწავლო პროცესი. გადამზადდა პროფესიული განათლების მასწავლებლები კომპიუტერულ უნარ ჩვევებში რამაც გაადვილა ონლაინ სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში განხორციელებას. კოლეჯმა გააფართოვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობა. გაფორმდა ხელშეკრულება წამყვან ფარმაცევტულ სააფთიაქო ქსელთან შპს ავერსი, ასევე დაიდო ხელშეკრულება მეან-გინეკოლოგიურ კლინიკასთან რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კურსის გავლას. ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ჩართულობა პრაქტიკული უნარ ჩვევბების გამომუშავების პროცესში. დაიდო ხელშეკრულება კომპანია ნუტრიმაქსთან. კომპანია ხელს შეუწყობს კოლეჯის ვეტერინარიის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ცოდნის, უნარების გაზიარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას. გაფორმდა მემორანდუმი სსიპ კოლეჯ ოპიზართან რომელიც ითანამშრომლებს კოლეჯ ამაგთან

ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის განვითარებისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესების საკითხში. 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად განისაზღვრა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა და კოლეჯმა გაზარდა კონტიგენტი 30 ადგილით (სულ 60 ადგილი). გაფართოვდა პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობა დაიდო ხელშეკრულება შპს კოცოსთან, ი/მ მამია ბუგულიშვილთან და შპს გორ-ვეტთან. მოზიდულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირები დარგის მიმართულებით. დამსაქმებლის ინიციატივით განხორციელდა კვლევა ჯანდაცვის სფეროში სტომატოლოგიური კლინიკებში ასისტენტის საჭიროებისა და მნიშნელობის შესახებ. კოლეჯის ხარისხის მენეჯერის ინიციატივით დაევალათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს საჭირო რესურსის კვლევა. წამოდგენილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე წინადადებები და რეკომენდაციები. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის, რისთვისაც დაიგემა და ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებები როგორიცაა: კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა განვითარება, ახალ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება პროფესიული სწავლებისა და შეფასების
სისტემის გაცნობა. კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა 2021 წლის სამოქმედო გემის შესაბამისად გამოკითხვები, მოხდა მონაცემების ანალიზის შეგროვება და დირექტორთან წარდგენა. 2021 წლის კერძო კოლეჯების მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე, პროფესიული განათლების მასწავლებელმა ნანა ალავედრაშვილმა და პროფესიულმა სტუდენტმა ალექსანდრე ვათიაშვილმა წარადგინეს პროფესიული განვითარების კუთხით პროექტები, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და გადაეცათ სერტიფიკატები. საგანმანათლებლო საქმიანობის და რესურსების შეფასების მიზნით რეგულარულად განხორციელდა მონიტორინგის სასწავლო ცხრილებისა და დასწრების კუთხით. 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეულ პროფესიულ პროგარამაზე ჩატარდა ორი ვერიფიკაცია. გაიცა რეკომენდაციები. გამოვლინდა შედეგები რამაც ასახვა ჰპოვა შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა და განვითარების მიმართულებით და შეიცვლა შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.

3. პერსონალი

2021 წლის მანძილზე კოლეჯის თანასმშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი, კერძოდ, 22 იანვარს - ინოვაციური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული ონლაინ ტრენინგი „პერსონალის მართვის პოლიტიკა და დაგეგმვა სასწავლო დაწესებულებებში. HR სისტემები და თანამედროვე მენეჯემენტი“. კოლეჯის კონსულტანტის მიერ 2021 წლის 26-28 იანვარს ჩატარდა ვებინარი „ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის და გაიცა სახელობითი სერთიფიკატები. 2021 წლის 13 თებერვალს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატრდა ტრენინგი თემაზე „სოციალური განწყობის სტრუქტურა და შეცვლა“. ასევე, გაიცა სახელობითი სერთიფიკატები. 25 აპრილიდან 25 ივნისის ჩათვლით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის მიმდინარეობდა საოფისე კომპიუტერული პროგრამების სრული კურსი კოლეჯის ინფორმაციული წიგნიერების პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ. აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ, მასწავლებლებს გადაეცათ სერთიფიკატები. 15-17 ივნისს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის მოწვეული ტრენერის მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი ეფექტური სწავლების მეთოდებზე. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. საზოგადოება ბილიკსა და კოლეჯს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯის პროფესიული განათლებისა მასწავლებლებისთვის ივნისიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით ჩატარდა რამოდენიმე ონლაინ ტრენინგი, კერძოდ “სწავლების მეთოდები და სწავლების ეფექტურობის გაზრდა“, „საპროექტო განაცხადის მომზადების საფუძვლები/ციფრული

თანამშრომლობის ინსტრუმენტები“, “ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლათფორმების გაძლიერება Links ფარგლებში“, „ეფექტური კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები“. ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი.
მოწვეული ტრენერის მიერ კოლეჯში ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი 5, 6 და 7 ივლისს თემაზე „რეკომენდაციები და განმარტებები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით“ . აღნიშნული ტრენინგის დამადასტურებელი სერთიფიკატები დაცულია თანამშრომელთა პირად საქმეში.

კოლეჯში მოქმედი პროგრამების ხელმძღვანელებისა და მათივე დარგის სპეციალისტებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში“ კერძო კოლეჯების ორგანიზებით. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

30 ნოემბერი - 1 დეკემბერს კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწქავლებლებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი კოლეჯია ხარისხის მენეჯერისა და მოწვეული ტრენერის მიერ თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მექანიზმები“. მასწავლებლებს გადაეცათ სერთიფიკატები. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძრვანელი 2021 წელს ჩართული იყო პროფესიული დარგობრივი საბჭოს მუშაობაში და იგი დაჯილდოვდა საბჭოს მუშაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

წლის მანძილზე ჩატარდა მუდმივმოქმედი შესარჩევი კომისიის 12 სხდომა და შესაბამისი კონკურსების საფუძველზე შეირჩა 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. განთავისულდა 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მიღებული იქნა ადმინისტრაციის 13 თანამშრომელი (აქედან 8 ხელშეკრულების საფუძველზე). განთავისუფლდა 3 თანამშრომელი.

კოლეჯში მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული იქნა პრაქტიკის 15 ინსტრუქტორი.

მოხდა ადმინისტრაციის 4 თანამშრომლის e-vet სისტემაში რეგისტრაცია და მათთვის მომხმარებლების შექმნა.

ჩატარდა ადმინისტრაციის თანაშრომელთა კვლევა კოლეჯის მიერ ფარმაცია (სააფთიაქო) და საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით და დამუშავებული შედეგები გადაეცა კოლეჯის დირექტორს.

ორჯერ ჩატარდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა წინასწარ შერჩეული კითხვარების გამოყენებით ე.წ „Google forms” ში, რომლებიც დაეგზავნათ თანამშრომელბს პირად ელ ფოსტებზე. ჩემს მიერ მოხდა შედეგების ანალიზი და დირექტორისთვის წარდგენა.

წლის ბოლოს, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დებულების N2 და N4 დანართების შესაბამისად კომისიის მიერ შეფასდა თანამშრომლები ინდივიდუალური გასაუბრების გზით. დირექტორის ინიციატივით უმაღლესი შეფასების მქონე თანაშრომელბს გადაეცათ მადლობის სიგელები.

4. სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტულ სერვისებს. სტუდენტური რესვისები უზრუნველყოფილი იყო მთელი წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, რისთვისაც კოლეჯში შექმნილია სარგებლობის წესები, რომლითაც პროფესიული სტუდენტებისთვის გარანტირებულია ისარგებლონ კოლეჯის სასწავლო რესურსით სარგებლობის საშუალებებით. ჩატარდა არაერთი აქტივობა სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნენ სასწავლო პროცესისთვის სავალდებულო წესებს, უსაფრთხოების წესებს და საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. ახალი

COVI19-ის პირობებში სასწავლო პროცესის განახლებისას სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ მოხდა დამატებით იმ რეგულაციების გაცნობა, რომელიც დაკავშირებული იყო პრევენციულ ღონისძიებებთან. მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა პროფესიული სტუდენტების განცხადებების განხილვა, რომელზე პასუხებიც მიმდინარეობდა კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა არაერთი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიება.

გარდა აღნიშნულისა წლის განმავლობაში დგებოდა სასწავლო ცხრილი სასწავლო კალენდრის, სასწავლო გეგმების და მოდულური ბაზის შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობდა ყოველდღიურ რეჟიმში, ხოლო დისტანციური სწავლების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხოლციელდებოდა ყოველდღიურად ონლაინ პლატფორმაზე და ჩატარებული მეცადინეობების სქრინები ატვირთულია ყველა სპეციალობისთვის შექმნილ ჯგუფში. მოდულური ბაზის და კალენდრის მიხედვით ხდებოდა შეფასებისი შეფასების ინსტრუმენტებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა.

პროფესული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკოსი ექთნის დასრულების შემდეგ (დაასრულა 18 პროფესიულმა სტუდენტმა) მოხდა პროფესიული სტუდენტების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება. ასევე ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წელს ჩარიცხულმა პროფესიულმა სტუდენტებმა დაასრულეს სწავლა (33 პროფესიული სტუდენტი) და მათ მიენიჭათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

5. დოკუმენტებზე მუშაობა

დოკუმენტბრუნვაზე სამუშაოები მიმართული იყო კოლეჯში შემოსული და კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის დროული განხილვის, განაწილების, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადებში მათი გაფორმებისა და შესრულების რეგულირების მენეჯმენტის სრულყოფისაკენ, რაც თავის მხრივ, კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლების გამართული მუშაობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. გადაიხედა და განახლდა, როგორც ადმინისტრაციული, ასევე, პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა სამუშაო აღწერილობების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ცნობა და თითოეული ხელშეკრულება თავისი შინაარსით გახდა ინდივიდუალური, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია საქმისწარმოებაში დასრულებილი დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება, საარქივოდ მომზადება და დირექტორის თანხმობით არქივისათვის (შიდა) გადაცემა.

2021 წლის განმავლობაში მომზადდა ყველა საჭირო ბრძანების პროექტი, მათ შორის პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის და პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის ბრძანების პროექტები. 2021 წელს კოლეჯში ჩაირიცხა 88 პროფესიული სტუდენტი: აქედან, საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-28 პროფესიული სტუდენტი, ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-40 პროფესიული სტუდენტი და ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-20 პროფესიული სტუდენტი.

სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 2 პროფესიულ სტუდენტს. მოხდა ახლადმიღებული 88 პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების სრულყოფა და დაიდო მათთან ხეშეკრულებები, დაინომრა და გატარდა რეგისტრაციაში. მომზადდა თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლებისათვის შესაბამისი ბრძანების პროექტები.

2021 წელს მოხდა ელექტრონულ სისტემაზე-eflow_ზე თანამშრომლების დამატება. აღნიშნულის გამო მოხდა შესაბამისი სწავლების განხორციელება, მითითებების მიცემა და გადამზადება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eflow-ში.

6. სხვადასხვა აქტივობა

წლის განმავლობაში ეფექტურად ხდებოდა გაწერილი წლიური ბიუჯეტის შესრულება. შედეგად კოლეჯში ინფრასტრუქტურის ნაწილში განახლდა განათებები, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში განახლდა და დაემატა საჭირო ინვენტარი/მასალები. ასევე წინასწარ გაიწერა და დაიგეგმა მომავალი წლისთვის დასამატებელი ნივთები. მოხდა კოლეჯი ამაგისთვის სასერვერო მოწყობილობის შეძენა და მიმდინარეობს მისი ადაპტაცია. გარემონტდა და შეიქმნა ახალი სასწავლო გარემო. ასევე მოეწყო ახალი აუდიტორია დენტალური საქმის ასისტირების პროგრამისთვის. ნარჩენების გატანის უზრუნველსაყოფად მოძიებულ იქნა სხვადასხვა კომპანიები რომლებთანაც აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცებაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 16 თებრვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამის ვადებში მოახდინა კოლეჯის ბალანსზე არსებული, ძირითადი აქტივების დამატერიალური ფასეულობების დალუქვა, ეტაპობრივად გაიხსნა კომისიის მიერ სრულად მოხდა სასწავლო ოთახებში, კაბინეტებში, სათავსოებში, მატერიალური ფასეულობების აღწერა, გაიმართა კომისიის სხდომა, შედეგების დამტკიცების შესახებ.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშს რაც შეეხება ნაშთი 01,01,2021 წლისთვის შეადგენდა 69240 ლარს, 2021 წლის შემოსავალმა შეადგინა 515539 ლარი. პროფესიული სტუდენტების ვაუჩერით დაფინანსებამ შეადგინა: 439437ლარი. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გადასახადის გადახდით მიღებული შემოსავავალი: 73600 ლარი. დამფუძნებლის მიერ წილის გაზრდის გარეშე შემოტანილი თანხა :2500 ლარი. აღნიშნული შემოსავლიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინსტრაციის და მომსახურების დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა: 440920ლარი. საპენსიო ფონდში გადარიცხული იყო 3264 ლარი. დივიდენდის სახით გაიცა დამფუძნებლებზე: 42293. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაზე 2021 წლის მანძილზე ხელშეკრულებების საფუძველზე გადაირიცხა 12630 ლარი. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა: 16187ლარი (შეძენილია კომპიუტერები, პროექტორები და ტელევიზორები: 12487ლარი ავეჯი 2800 ლარი შეიცვალა განათება 900ლ). მოდულური პროგრამებისათვის მასალა-ნედლეულის შესაძენად: 2046ლ. მოდულური პროგრამების აღჭურვილობის შსაძენად გაიხარჯა: 1627ლ. შეძენილია წიგნები: 2629ლარი; ტრენინგების და ღონისძიებები ხარჯი: 2041ლ. საკანცელარიო ნივთების შესაძენად გაიხარჯა 2346 ლარი; კერძო კოლეჯების ასოციაციაში გადარიცხული საწევრო 2021წლის მანძილზე იყო: 650ლ. ეფლოუ-480ლ; პროფესიული პროგრამების ავტორიზაცია-აკრედიტაციის ხარჯმა შეადგინა: 3272ლარი. სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა: 9000ლარი; 2021 წლის იჯარის ხარჯი იყო: 38000ლ; 2021 წლის ინტერნეტის და საიტის ხარჯი:3096; კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების დამზადების:1840; სხვადასხვა ხარჯი: 2142ლ; სულ ხარჯებმა შეადგინა: 584463.

პერსონალის წახალისების მიზნით მოეწყო ექსკურსია რომელიც ასევე მოიცავდა სხვა კოლეჯის გამოცდილების გაზიარების მიზნით მათთან ვიზიტს.

PR-ის მიმართულებით განახლდა კოლეჯი ამაგის Facebook გვერდის ვიზუალური მხარე სადაც აქტიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციების და ჩატარებული ღონისძიებების განთავსება. შეიქმნა Instagram გვერდი სადაც ანალოგიურად Facebook გვერდისა ხდება ინფორმაციების განთავსება.

შეიქმნა განახლებული პრეზენტაცია ღია კარის დღისთვის რომელსაც კოლეჯი ამაგი გამოიყენებს ყოველი ღია კარის დღის ჩატარების დროს. მომავალი პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის მოეწყო ღია კარის დღე (კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე ჩატარდა ონლაინ). სტუდენდების კარიერული წინსვლისთვის წარმატებულად დასრულდა კომპანია ავერსისთან მოლაპარაკებები რის შედეგადაც დავდეთ ხელშეკრულება. კოლეჯი ამაგის პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ პრაქტიკები პარმაცევტული კომპანია ავერსის საცალო ქსელებში სადაც მათ ასევე ექნებათ დასაქმების პერსპექტივა. დასაქმების კუთხით ხდება სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრა რომლებთანაც შესაძლებელია ჩვენი სტუდენტების დასაქმება. პარალელურად სტუდენტებისთვის უფრო მეტი კომფორტის შექმნისთვის, აუდიტორიებში განახდლა ვიზუალური მასალები.

2021 წელს მოხდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბიბლიოთეკის სხვა ოთახში განთავსება. ბიბლიოთეკის დებულების თანახმად გაიკრა საჩვენებელი პლაკატები, მოეწყო თბილი და სასიამოვნო გარემო. 2021 წელს შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტიდან გადმოგვეცა ინვენტარი და მის ბალანსზე არსებული წიგნადი ფონდი. ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით განხორციელდა სასწავლო რესურსის გადახედვა ხარისხის მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. მოხდა ელექტრონული წიგნების მოძიება, C D დისკზე გადატანა და შენახვა რათა მეტი წვდომა ჰქონდეს პროფესიულ სტუდენტს სახელმძვანელოსთან. ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის კვოტის გაზრდისა და სტომატოლოგის ასისტენტის პროგრამის დამატების მოთხოვნოსთან დაკავშირებით მოხდა წიგნადი ფონდის გაზრდა. მთლიანობაში წიგნების რაოდენობა შეადგენს 820 წიგნად ერთეულს, წიგნადი ფონდის ბალანსზე აყვანის მიზნით განხორციელდა თითოეული წიგნის დამუშავება და გატარება ბიბლიოთეკის წესის თანახმად ფონდის საინვენტარო წიგნში და და ელექტრონულ კატალოგში OpenBiblio-ში.

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება სტუდენტები გაეცნენ მატერიალურ -ტექნიკურ რესურსებს, ქცევის წესებსა და მათ უფლება მოვალეობებს. გაეცნენ ასევე ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს როგორც სასწავლი სახელმღვანელოებს ასევე სამკითხველო ლიტერატურას.

2020 წლის მიღების ფარგლებში ჩაირიცხა ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 სსსმ სტატუსის სტუდენტი. აღნიშნული პროფესიული სტუდენტი ჩარიცხვიდან დღემდე აქტიურადაა ჩართული როგორც სალექციო, ისევე პრაქტიკულ საქმიანობაში, რომელსაც პირადად მონიტორინგს უწევს შესაბამისი თანამშრომელი, ლექციებზე დასწრებით და ზუმის პლათფორმის მეშვეობითაც, აქვს როგორც პირადად ურთიერთობა ასევე ოჯახთან კავშირიც რის შედეგადაც მის მიმღებ ოჯახის წევრებთან ურთიერთობით კონტროლს უწევს ოჯახს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ, ხდება მხარდაჭერის გამოხატვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ითქვას რომშპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2021 წლის საქმიანობა ჩაითვალოს დადებითად.

პატივისცემით,

დირექტორი ---------- რუსუდან სუხიშვილი